პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნიზმის სხივი

18 | 1990 იანვარი ხუთშაბათი | №8 (6235) ფასი 8 კაპ.

გაზეთი დაარსდა 1933 წლის 10 მაისს

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

КОМУНИЗМИС СХИВИ орган Цагерского райкома КП Грузии и райсовета народных депутатов

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### ნახიჩევანის ასსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის კანონის უხეშ დარღვევათა თაობაზე

განიხილა რა ნახიჩევანის ასსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის რაიონში მასობრივი უწესრიგობებისა და თარეშის აქტების საკითხი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გადაჭრით დაიგმოს თარეშისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის უხეშ დარღვევათა მომხდარი ფაქტები, რომლებსაც მოჰყვა ვითარების დესტაბილიზაცია საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის ამ მონაკვეთზე, სასაზღვრო ობიექტების დანგრევა და სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დარღვევა.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აზერბაიჯანის სსრ და ნახიჩევანის ასსრ სახელმწიფო ორგანოები სასაზღვრო სამსახურებთან ერთად ახორციელებენ სასწრაფო ღონისძიებებს დანგრეული სასაზღვრო ობიექტების აღდგენისათვის, ხოლო სამართალდამცავი ორგანოები აწარმოებენ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის უხეშ დარღვევათა ფაქტების გამოძიებას და დამნაშავე პირები ეძლევიან პასუხისგებაში.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობით მიიღოს სასაზღვრო რაიონების, მოსახლეობის მიერ აღძრული კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის ზომები.

**სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**მ. გორბაჩოვი.**

მოსკოვი, კრემლი. **1990 წლის 10 იანვარი.**

## გაზაფხულს — მომზადებული შეხვედრა!

# თესლზე ვიზრუნოთ, თესლზე!

ოდითგანვე ცნობილია, რომ სასურსათო პროგრამის საფუძველთა საფუძველი მარცვლეულის წარმოების ზრდაა, ე. ი. მარცვლეული განმსაზღვრელ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების საქმეში.

ამდენად, ბუნებრივია, მარცვლეულის წარმოება რომ გაიზარდოს, ყოველმხრივ უნდა ამაღლდეს მიწათმოქმედების კულტურა. ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა კი შეუძლებელია ჯიშიანი და კონდიციური თესლის გარეშე.

სწორედ ახლა, ზამთრის ამ დღეებში უნდა ხდებოდეს თესლის მომზადება, მაგრამ საკითხავია, საამისოდ დავიჭირეთ კი თადარიგი, მომარაგებული გვაქვს მარცვლეულის სათესლე მასალა მიმდინარე, 1990 წლის საგაზაფხულო თესვისათვის?

სულ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 685 ცენტნერი მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლი სჭირდებათ. აქედან სიმინდის სათესლე მასალა—571 ცენტნერი, ლობიოსი კი—114 ცენტნერი.

ფაქტიურად მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის მხოლოდ ცაგერის კოლმეურნეობას ჰქონდა გამოყოფილი გეგმით გათვალისწინებული ოდენობით სიმინდისა და ლობიოს კონდიციური თესლეული. ორბელის, წიფერჩის კოლმეურნეობებმა და უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა 3 იანვრისათვის უჩვენეს მათთვის საჭირო ოდენობის სიმინდისა და ლობიოს თესლეულის გამოყოფა, რომელთა კონდიციურობის დადგენა, ბუნებრივია, არ მოესწრო. რაიონის დანარჩენ საზოგადოებრივ მეურნეობებში კერძოდ, ტვიშის, ალპანის, ლაილაშის, ლაჯანის, ჩხუტელის, ლვირიშის და ლასურიაშის კოლმეურნეობებში ჯერჯერობით საგაზაფხულო თესვისათვის თესლი საერთოდ არა აქვთ.

აღნიშნულ მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები თავს იმით ინუგეშებენ, რომ მოიჯარეები გაზაფხულზე დასათესად საკუთარ თესლს გამოიყენებენ. ის კი ავიწყდებათ, რომ კოლმეურნეობა ვალდებულია მოიჯარეები საკუთარი წარმოების ჯიშიანი და მაღალკონდიციური თესლეულით უზრუნველყონ.

ახლა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს სასწრაფო ღონისძიებათა გატარება მართებთ რომ სანამ დროა, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებული საჭირო თესლეულის გამოყოფა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუკი კოლმეურნეობები წვრილგლეხურ მეურნეობებზე გადავლენ, ეს საკითხი უმართავი არც მაშინ დარჩება, რადგან პარტია და მთავრობა საკოლმეურნეო შრომის რეორგანიზაციისა თუ შრომის ორგანიზაციის ახლებურ ფორმებს მხოლოდ და მხოლოდ მარცვლეულის წარმოების გაზრდისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის გვთავაზობს და ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა ჯიშიანი და კონდიციური თესლის გარეშე შეუძლებელია.

**ლ. ლიპარტელიანი,**
**ცაგერის სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.**

## გრძელდება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის უფროსი მასწავლებელი **ელდარ ალიოშას ძე ახვლედიანი,** დაბადებული 1939 წელს, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის 1990 წლის 6 იანვრის პლენუმმა წამოაყენა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №201 საარჩევნო ოლქში.

# ინერება ისტორია

საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას დაემთხვა ეთნოკონფლიქტების გაჩაღების ცდები, რაც მიზნად ისახავს თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის ჩათრევას ეთნოკრიზისში და ამით ეროვნული მოძრაობის შესუსტებას. აფხაზეთის, ქვემო ქართლისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოვლენები იმდენად გავდა ხელწერით ერთმანეთს, რომ ყველასათვის ცხადი გახდა, ვინ აწარმოებს ფარულ ბრძოლას საქართველოს წინააღმდეგ, ვინ ცდილობს წარმატებით გაატაროს „გათიშე და იბატონეს“ იმპერიული პოლიტიკა. ამ პოლიტიკას საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავიდანვე დაუპირისპირეს ერთიანი ხაზი—საზოგადოებრიობის ყურადღება გადაიტანონ ქართველთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკურ ამოცანაზე—საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნაზე, რაც თავისუფლებას მოუტანს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელს. ასე იყო შარშანდელი აპრილის დღეებში, როცა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ შეძლო აფხაზეთის ენთოკრიზისის საშიშროება გადაეზარდა პოლიტიკურ კრიზისში. ასეა ახლაც, ისტორიულ სამაჩაბლოში მომხდარი არეულობების ეთნოკრიზისში გადაზრდის საფრთხის აღკვეთის მიზნით თბილისში დაიწყო მასობრივი შიმშილობა, რომელიც ამჟამად ეროვნული ხსნის კომიტეტის ეგიდით მიმდინარეობს. ერთი კვირის მანძილზე საქართველოს დედაქალაქი ფაქტიურად პარალიზებული იყო, რაც გამოიწვია ბევრი საკავშირო, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოსა და ტრანსპორტის გაფიცვამ. ყოველდღიურად მთავრობის სახლის წინ ტარდება მრავალათასიანი მიტინგები, რომლებზეც გაისმის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნა. დღეისათვის თბილისში შიმშილობა გრძელდება. როგორც ამ მასობრივი საპროტესტო აქციის ორგანიზატორები ამბობენ, შიმშილობა გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება მოშიმშილეთა მოთხოვნა თბილისში პოლიტბიუროს წევრების ჩამოსვლისა და საჯაროობის პირობებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან მათი მოლაპარაკების გამართვის შესახებ. რაც არ უნდა კატეგორიული ეჩვენოს მავანს და მავანს მოშიმშილეთა მოთხოვნები, ერთი რამ ცხადია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ეძებს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზებს, ცდილობს ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნების ახდენას მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით, ცდილობს საქართველოს თავიდან ააცილოს ეთნოკრიზისები, რაც საფრთხეს უქმნის თავისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლის წარმატებას და ყოფნა-არყოფნის სასწორზეც კი დებს მის ბედს. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოთხოვნებში არ ფიგურირებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება, თუმცა ეს კანონიერი მოთხოვნა კარგა ხანია გაისმის მთელ საქართველოში. მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ ამგვარი მოთხოვნის დღის წესრიგში დასმა, მიუხედავად მისი აბსოლუტური სამართლიანობისა, საბაბს მისცემს ქართველი ერის მტრებს კიდევ ერთხელ მოგვაწებონ „ველიკოგრუზინული შოვინიზმის“ იარლიყი, რაც მათ უკვე არაერთხელ იკადრეს, ცრუინტერნაციონალიზმის იდეების სპეკულაციის გზით ითამაშონ ადამიანთა გრძნობებზე.

14 იანვარს ლეჩხუმის სახალხო ფრონტის დელეგაცია ეწვია რესპუბლიკის დედაქალაქს და სოლიდარობა გამოუცხადა საპროტესტო აქციის მონაწილეებს. მთავრობის სახლის წინ გამოკრული ლოზუნგები ადასტურებენ აქციის მშვიდობიან ხასიათს და კიდევ იმას, რომ მათ მოთხოვნებს მხარს უჭერს საქართველოს ყველა კუთხის საზოგადოებრიობა.

**ია ხმელიძე.**

## ჩვენი სოფლის ადამიანები

# მექანიზატორი

დღეს, როცა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის ზრუნვა თითოეული ქართველის უპირველესი საქმეა, სოფლად მთავარი ფიგურა ისევ და ისევ მექანიზატორია.

ეს კარგად აქვს შეგნებული და ტრაქტორი ყოველთვის მწყობრში ჰყავს ორბელის კოლმეურნეობის მექანიზატორს დადაში სილაგაძეს. ყოველთვის იქაა, სადაც ყველაზე უფრო საჭიროა, ხან ავტომანქანის საჭეს უზის და ტვირთს ეზიდება, გაზაფხულზე კი ტრაქტორით უხვი მოსავლის საფუძველს ამზადებს.

წელს გასულ წელზე მეტის გაკეთება აქვს განზრახული, დადაში სილაგაძეს, რადგან სოფლის სამეურნეო რეორგანიზაცია, რაც დღის წესრიგშია, მეტს ავალებს მექანიზატორს.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ, ᲐᲮᲐᲚ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲬᲔᲚᲘ

## ᲡᲐᲚᲦ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ

გასულმა წელმა მრავალი არასასიამოვნო მოვლენა და განცდა დაგვიტოვა: 9 აპრილის სისხლიანი აქცია, ეროვნულ ურთიერთობათა გამწვავება, სტიქიური უბედურებები აჭარაში, არც ჩვენს რაიონს დააკლო ხელი სტიქიამ, მეწყრები განვითარდა.

ცხოვრება ყოველგვარ წინასწარმეტყველებაზე უფრო მკაცრი და თამამი აღმოჩნდა, ეკონომიკა დაეცა, საზოგადოება დაიბნა, ასეთ სიტუაციაში პარტიულ კომიტეტს, კომუნისტებს ვერ ძალუძთ მეურნეობის მართვა, ადამიანთა დარაზმვა.

ჩვენ კი არა, მთელი პარტია აღმოჩნდა კრიზისში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფარხმალი დავყაროთ და მდგომარეობის დესტაბილიზაცია დავუშვათ. დღევანდელობა ათმაგად გვავალდებულებს ვიყოთ ვითარების ობიექტური შემფასებლები, სოფლისა და ერის მომავალზე მზრუნველები.

ორბელის კოლმეურნეობის მშრომელებმა, გასული წელი არც თუ ურიგო შედეგებით გავისტუმრეთ. გადაჭარბებით შესრულდა გეგმური დავალებები ისეთი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა აბრეშუმის პარკის, თესლოვანი ხილის, რძის დამზადება. შევასრულეთ ერთი ფურიდან რძის მილების დავალება, რომელიც 2000 კილოგრამს ითვალისწინებდა.

რა შედეგები მოგვიტანა იჯარამ? საიჯარო ხელშეკრულებით 70 ჰექტარ ხიმინდის ფართობს და 41 ჰექტარ ვენახს უვლიდნენ კოლმეურნეები. კი მართალია, წინა წლებივით მოსავალი ვერ იყო სახარბიელო უამინდობის გამო, მაგრამ რაც მოვიწიეთ, ვერც ის დავაბინავეთ საკოლმეურნეო ბეღელში. გართულდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარება კოლმეურნეებისაგან, ბევრი საერთოდ უარს აცხადებს იმ მოტივით, რომ კოლმეურნეობა თითქოს და გაუქმდა ან გაუქმდება. ასეთი მდგომარეობა მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში როდია, სამწუხაროდ. კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული კომიტეტი ვმუშაობთ კოლმეურნეებთან, ვეწევით ახსნა-განმარტებით მუშაობას, მაგრამ მათთვის სასარგებლო აგიტაციას, ბუნებრივია, უფრო მოისმენენ. ასე, რომ პარტიული კომიტეტის ზეგავლენა და ავტორიტეტი თითქმის იგნორირებულია.

ჩემის აზრით, ბევრჯერ ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ უარყოფითი რეაქცია და ხმაური მოგვიტანა. ან დროულად უნდა გადაწყდეს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის საკითხი, ან არადა უნდა განვამტკიცოთ საზოგადოებრივ მეურნეობათა ავტორიტეტი.

ასე რომ, ახალი წლის მიჯნაზე მწვავე ფიქრები გვაღელვებს. ახლა ჩვენთვის მთავარია ამ მკაცრ ზამთარში ნორმალურად გამოვაზამთროთ მსხვილფეხა პირუტყვისა და მეღორეობის ფერმები, ამაში შედის იჯარით კოლმეურნეებზე გაცემული 58 სული პირუტყვი. ფერმებს აქვთ საკვები, შერჩეულია საქმის მცოდნე მწყემსები. აღებული ხტარტი გვაძლევს საფუძველს, რომ რძისა და ხორცის დამზადების პირველი კვარტალის დავალებები შევასრულოთ.

პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მშრომელთა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. უამისოდ ძნელია ადამიანებთან საუბარი მომავლის გეგმებზე, სოფლის ხვალინდელ დღეზე, მიგრაციის აღკვეთაზე, გასულ წელს კოლმეურნეობის ძალებით ზედა ორბელში აშენდა შერეული საქონლის მაღაზია, წელს სოფლის მშრომელთა სამსახურში ჩადგება ახალი სახერხი ქარხანა.

რაც კეთდება კარგია, მაგრამ წინ უამრავი საზრუნავი და საკეთებელია. ხალხი მოითხოვს და სამართლიანადაც, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაუკეთდეს მდინარე ლაჯანურს ნაპირსამაგრი კედელი, რომ მოსახლეობა დავიცვათ წყალდიდობისაგან.

სტიქიამ არც ორბელი დატოვა და დამეწყრილ ხალხს თანადგომა და პრაქტიკული დახმარება სჭირდება. მეწყრულმა მოვლენებმა მწყობრიდან გამოიყვანა სოფელ წილამიერის სასოფლო გზა, დააზიანა სოფლის წყალსადენის მაგისტრალი.

რაც შეეხება 3 წლის მანძილზე დაზიანებული სატელეფონო და რადიო, ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენას, მოგვწყინდა ამაზე ლაპარაკი. „დახმარება" აღნიშნულმა სამსახურებმა იმით „აღმოგვიჩინეს", რომ შტატები შეამცირეს, ლაჯანა-ორბელის კავშირგაბმულობის განყოფილებებში შეწყდა სადღეღამისო მორიგეობა.

ორბელის კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული კომიტეტი, წლის დასაწყისიდანვე შეეცდებიან თავი დააღწიონ დოგმატიზმს, უმოქმედობას, დარაზმონ ადამიანები მიმდინარე წლის დავალებათა შესასრულებლად, მშრომელთა ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად.

**Ი. ᲜᲔᲛᲡᲬᲕᲔᲠᲘᲫᲔ,**
ორბელის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.



ᲐᲮᲐᲚᲘ წელი ახალი სუნთქვით, უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენით შემოიჭრა თითოეული ქართველის სულში. ალპანის სამკერვალო წარმოების მკერავი, 3 შვილის დედა თინა თვარაძეც (სურათზე) მშობელი საქართველოსა და ერის კეთილდღეობაზე ფიქრსა და ძიებაშია. მისი მიზანია წელს ერთი-ორად ამრავლოს წარმატებები.

ზ. ᲒᲖᲝᲑᲐᲕᲐᲡ ფოტო.

ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲝᲑᲐ

## „რატომ შეჩერდა მშენებლობა?"

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის გასული წლის 5 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „რატომ შეჩერდა მშენებლობა?", რომელშიც ლაპარაკია სოფელ მახაშში სასოფლო კლუბის მშენებლობის შეჩერების შესახებ. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგის გ. ბრეგვაძის პასუხი, სადაც ნათქვამია:

გაცნობებთ, რომ რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „რატომ შეჩერდა მშენებლობა" სინამდვილეს შეეფერება. მახაშის სასოფლო კლუბის მშენებლობას კულტურის სამინისტროს დაკვეთით ასრულებს ლასურიაშის კოლმეურნეობა, რომელიც მშენებლობის შეჩერების მიზეზად ასახელებს სამშენებლო მასალების უქონლობას და კულტურის სამინისტროს მიერ მშენებლობისათვის საჭირო თანხების დაგვიანებით ჩამორიცხვას, რაც სწორია.

კულტურის სამინისტროს მიერ სასოფლო კლუბის მშენებლობისათვის მიმდინარე წელს გამოყოფილია სათანადო თანხები და სამშენებლო მასალები. მშენებლები თუ მეტ მონდომებასა და პასუხისმგებლობას გამოიჩენენ ობიექტის ასაშენებლად, მახაშელ მშრომელთა გულისტკივილი მიმდინარე წლის აგვისტომდე დაკმაყოფილდება".

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

# ᲨᲔᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

## ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

**ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲗᲔᲛᲐ:** ქრისტიანული რელიგია და საქართველო. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. საეკლესიო ცხოვრების განვითარების ძირითადი ეტაპები. ქრისტიანული რელიგიის ჰუმანური ხასიათი. კულტის მსახურთა მოღვაწეობა საქართველოს გადარჩენისათვის. ეკლესია-მონასტრები, როგორც ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის გავრცელებისა და გადარჩენის ძირითადი ცენტრები. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა—ქართული ლიტერატურის სათავე. ქართული ეკლესია მსოფლიო ასპარეზზე. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის შესახებ. რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. რელიგიასთან ურთიერთობის საკითხები უკანასკნელ პერიოდში (4 საათი).

**ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ:** ერთიანი ეროვნული მორალისა და თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ დიდი როლი შეასრულა ქრისტიანულმა ეკლესიამ. ამასთანავე ფაქტიურად იგი აღმოჩნდა კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარების სათავეებთან. საჭიროა გამოვაჩინოთ ის დადებითი მომენტები, რაც ეკლესიამ გააკეთა ქართული ერთიანი სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის, ერის გადარჩენისათვის. ამასთანავე გვერდს ვერ ავუვლით ზოგიერთ გადაცდომებს. საჭიროა ვაჩვენოთ მარქსიზმის დამოკიდებულება რელიგიისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ახალი მიდგომა რელიგიის საკითხისადმი გარდაქმნის პერიოდში.

**ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ** თემა: ქართველი სამოციანელები, ილია ჭავჭავაძე. ილია, როგორც შემოქმედი, ილია, როგორც პუბლიცისტი. ილია, როგორც პოლიტიკოსი: სამოციანელთა მოღვაწეობა. (4 საათი).

**ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ:** ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობასთან ერთად ამ თემის დამუშავებისას საჭიროა ვაჩვენოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რომელშიც ილიასა და მის თანამედროვეთ მოუხდათ ცხოვრება. ბრძოლა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და ეროვნული თვითგამორკვევისა და თვითგამოღვიძებისაკენ. ილიას დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებთან და მიმდინარეობებთან.

**ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲗᲔᲛᲐ:** საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა (1917-1921წ.) თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციები რუსეთში. საქართველოს გამოყოფა რუსეთისაგან და დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება. ნ. ჟორდანიას მმართველობის ეპოქა. პირველი ქართული კონსტიტუცია, ნ. ჟორდანიას მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რეფორმები, ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან და შესაბამისი ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი). საქართველოს სახელმწიფოს ცნობა ევროპის სახელმწიფოების მიერ. ფრანგები და ინგლისელები საქართველოში. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება საქართველოში და სხვადასხვა მოძრაობა-მიმდინარეობანი. ლორეს პროვოკაციული გამოსვლები. მე-11 არმიის შემოსვლა საქართველოში. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში (4 საათი).

**ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐ:** საჭიროა ამ მეცადინეობისას გავაშუქოთ მასალები, რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია ფართო საზოგადოებისათვის. ვაჩვენოთ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის მოღვაწეობის როგორც დადებითი მაგალითები, ასევე შეცდომები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის (1989 წლის 17-18 ნოემბერი) დადგენილებაზე 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. გამოვკვეთოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულება ამ საკითხის შეფასებაში.

**ᲛᲔᲠᲕᲔ ᲗᲔᲛᲐ:** საქართველო მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, საზოგადოებების ფორმირება, საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა გარდაქმნის პირობებში (2 საათი).

**ᲡᲐᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:**

1. **ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ** ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით ტ. I-IV. 2. ივ. ჯავახიშვილი. **ქართველი ერის ისტორია** ტ. I-IV. 3. **საქართველოს ისტორიის ნარკვევები** გ. მელიქიშვილის რედაქციით ტ. I-VIII. 4. ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი. **საქართველოს ისტორია.** 5. რ. მეტრეველი. **დავით აღმაშენებელი.**

6. ა. სურგულაძე— **საქართველოს შეერთება რუსეთთან.**

7. ა. ცქვიძე—**საქართველოს ისტორია** (მე-19 საუკ.).

8. **ქართული საბჭოთა ენციკლოპედია** ტ. I-XII (ტერმინების მიხედვით).

9. მ. თამარაშვილი—**ისტორია მართლმადიდებლობისა.**

10. ვ. ჭელიძე — **ქართლის ცხოვრების ქრონიკები.** ტ. I-IV.

11. ლ. სანიკიძე — **უქარქაშო ხმლები**— ტ. I-IV.

12. ჯ. ღვინჯილია—**სული აღმაშენებელი.**

13. შ. ბადრიძე — **ქართლის ცხოვრების მოთხრობები.**

14. ლ. სანიკიძე — **დედა ისტორია.** I-II ნაკვეთები.

15. **საქართველოს ისტორია** (საკითხავი წიგნი—გ. მელიქიშვილის რედაქციით).

16. გ. შარაძე—ი. **ჭავჭავაძე— ფოტომატიანე** წიგ.. I-II.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნიზმის სხივი" №7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჩვენს საჭირისუფლოში

## დერჩის ეკლესია

ლეჩხუმი ოდითგანვე ძირითადად სამი მდინარის, რიონის, ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობებშია განლაგებული. ამათგან კლდედალმართი ანუ ქვემო ლეჩხუმი რიონის ხეობაშია და იგი იმერეთს ესაზღვრება. საქართველოს დარაიონებამდე ქვემო ლეჩხუმი, ბუნებრივია, ლეჩხუმის მაზრაში შედიოდა, ხოლო შემდეგ ადმინისტრაციულად ჯერ ქუთაისის რაიონს დაუქვემდებარეს, ამჟამად კი წყალტუბოს საქალაქო საბჭოში შედის.

ქვემო ლეჩხუმის ერთ-ერთი ცენტრალური სოფელია დერჩი. იგი ადმინისტრაციული ცენტრი იყო ამ საუკუნის დასაწყისშიც, როცა ქვემო ლეჩხუმი 12 სოფელს აერთიანებდა.

სოფელი დერჩი იხსენიება მე-12 საუკუნის ერთ საბუთში, რომლის მიხედვით მეფე გიორგის იგი გელათის სამეფო სამწირველოსათვის შეუწირავს: „ჰქონდეს სოფელი დერჩი სამწირველსა ჩუენსა... მისითა მზღვრითა და მიმდგომითა, მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქვილითა, სალვინითა, სათიბითა... თავისუფლად და შეუალად, ვითა სხვანი მონასტრისა სოფელნი შეუალნი არიან“.

მე-16-მე-17 საუკუნეებში ქვემო ლეჩხუმის დიასამიძეთა ფეოდალური ოჯახის ადმინისტრაციული ცენტრი სწორედ დერჩი იყო.

დერჩში შემორჩენილ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც სოფლის შუაგულში, მცირე შემაღლებაზე დგას. აქედან ჩრდილოეთით, ხევმლის გრანდიოზული კედლისაკენ შესანიშნავი ხედი იშლება.

ეკლესიის დღევანდელი სახე რამდენიმე ეტაპად მიმდინარე მშენებლობის შედეგი უნდა იყოს. ძეგლი სპეციალისტთა ვარაუდით მე-14 საუკუნით თარიღდება.

ეკლესიის ცენტრალური სივრცე აღმოსავლეთით ღრმა, ნალისებური მოხაზულობის აფსიდით სრულდება. ესნავი გვერდითი მინაშენებისაკენ თითო ფართო თაღით არის გახსნილი, განათებულია საკურთხევლის სამი და დასავლეთის კედელში არსებული ერთი სარკმელით. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნავებში თითო სარკმელია გაჭრილი. ძირითადი სივრცე, ისევე, როგორც მინაშენებისა, გადახურულია კამარით, ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს დასავლეთისა და სამხრეთის მხრიდან.

ორსაფეხურიან ცოკოლზე დაშყარებული ნაგებობა გარედან მოპირკეთებულია მოყვითალო-მომწვანო ქვიშაქვის სხვადასხვა ზომის თლილი კვადრებით და დაგვირგვინებული თარო-კარნიზით. ფასადები მოურთავია. დღეს მხოლოდ დასავლეთის სარკმლის ზედანს შემორჩა ცხოველების რელიეფური გამოსახულებები.

ეკლესიის შიგნითა კედლები დაფარული ყოფილა მთლიანად მხატვრობით. მათგან ნაწილი დღეისათვის დაღუპულია. მხატვრობა რამდენიმე რეგისტრად ნაწილდება. ცენტრალურ აფსიდში ორ მთავარანგელოზს შორის, წარმოდგენილია ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მის ქვემოთ „ზიარების“ ტრადიციული კომპოზიციაა. საკურთხევლის ქვედა რეგისტრში მხატვარს გამოუსახავს „მსხვერპლის თაყვანისცემა“. ძირითადი ნავის კამარაში ცენტრალური გამოსახულების ჯვრის აქეთ-იქით „ამაღლების“ სცენის ორი ვარიანტია განაწილებული. ამ რეგისტრის ქვემოთ მოცემულია შვიდი ძირითადი სადღესასწაულო სცენა: „ხარება“, „შობა“, „მირქმა“, „ნათლისღება“, „ლაზარეს აღდგინება“, „იერუსალიმად შესვლა“ და „ჯვარცმა“. მათ შორის თავისუფალ ადგილებს წმინდანთა გამოსახულებები იკავებენ. სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში მოცემულია სცენა ეკლესიის პატრონის (რაზედაც ეკლესიის სახელობა მიგვითითებს)— იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან. ზედა მწკრივში მახარებელთა სიმბოლოებია მოცემული. ქვემოთ, წმინდანთა ნახევრადფიგურული გამოსახულებებია. ჩრდილოეთის კედელს ეტყობა ქტიტორთა რიგი მიყვებოდა, რომელთაგან დღეს მხოლოდ სამი ფიგურაღაა შემორჩენილი—შუაში ახალგაზრდა მამაკაცი, აქეთ-იქით კი მანდილოსნები. საეროპირის კიდევ ერთი ფიგურაა დასავლეთის მინაშენის პილასტრაზეც. წარწერა არცერთს არ შემორჩენია.

ეკლესიის მოხატულობის იკონოგრაფიული სქემა გვიანი ხანის შესატყვისია, დერჩის ნათლისმცემლის ეკლესიის მხატვრობა მე-17 საუკუნით თარიღდება.

სურათზე: დერჩის ნათლისმცემლის ეკლესია.



### ჩააქრეთ ზედმეტი ელექტრონათურა

## გულსატკენი დაუდევრობა

საერთოდ ქვეყანასა და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობა ყველასათვის ნათელია. ნათელია ისიც, რომ რესპუბლიკა განიცდის ელექტროენერგიის დეფიციტს. ამის თაობაზე მოსახლეობას აუწყებს რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესა, ტელევიზია და რადიო, სთხოვენ მოსახლეობას, წარმოება-დაწესებულებებს, რაც შეიძლება ეკონომიურად მოიხმარონ ელექტროენერგია, დაზოგონ ჩვენი ეკონომიკის განვითარების ეს ძირითადი წყარო. ცხადია, რომ ელექტროენერგიის გარეშე ვერ იმუშავებს ფაბრიკა-ქარხნები, სამეურნეო ორგანიზაციები, მასზეა დამოკიდებული მოსახლეობის უზრუნველყოფა წყლით, პურით, სხვა სასურსათო პროდუქტებით და რაოდენ გულსატკენია, რომ ასეთ პირობებში ჩვენი მოსახლეობა, მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა დაუდევრობას იჩენს ელექტროენერგიის ხარჯვაში. ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობამ ამ დღეებში მოაწყო შემოწმება-რეიდი—როგორ იხარჯება ჩვენს სოფლებში ელექტროენერგია, ვის როგორ მიაქვს გულთან არსებული ვითარება. ქვედა ცაგერი, ჭალისთავი, ჩხუტელი შემოვიარეთ როგორც დღისით, ასევე ღამის საათებშიც. გამოირკვა, რომ დღის საათებში მოსახლეობის უმრავლესობის ეზოებში, აივნებზე ანთია ელექტრონათურები, ასევე უმიზნოდ ანთია ნათურები საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტებში, რატომ, რისთვის, რა საჭიროებითაა განპირობებული ეს? არავინაა დაინტერესებული მოსახლეობა შეიზღუდოს ელექტროენერგიის მოხმარებაში, მაგრამ უმიზნოდ მისი ხარჯვა დანაშაულია. რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა არ შეაფერხოს მოსახლეობა, სამაგიეროდ შემოიღო გრაფიკები მსხვილი წარმოებების პერიოდულად შეჩერებისათვის, და ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეები შეიქმნება რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მსხვილი საწარმოების თუნდაც 10-15 დღით დახურვის გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთელი სიგრძე-სიგანით დგას საკითხი რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლის შესახებ. ამას ჩვენი მოსახლეობა ხომ გაგებით უნდა მოეკიდოს და ყველაფერი გააკეთოს ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, რასაც დღესდღეობით ვერ ვხედავთ, ამიტომ საჭიროა დავეხმაროთ ელექტროგასაღების უბანს—ისინი თავიანთი ძალებით ვერ მოახერხებენ ამ საქმეში წესრიგის დამყარებას, მათთან ერთად მოვაწყოთ ერთობლივი რეიდები მოსახლეობაში, კიდევ ერთხელ განვუმარტოთ მათ, ვისაც ვერ შეუგნია თითოეული კილოვატი ელექტროენერგიის ფასი, და თუ მაინც კვლავ გაგრძელდა ელექტროენერგიის უმიზნოდ ხარჯვა, ასეთებზე გავატაროთ რადიკალური ღონისძიებები (ჯარიმა, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა და ა. შ.). ამ წერილში შეგნებულად არ დავასახელე ის წარმოებები და მოსახლეობა, რომლებიც ელექტროენერგიას უმიზნოდ, უყაირათოდ ხარჯავენ, ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მინდა შევეკითხო მათ, როგორი იქნება, რომ ელექტროენერგია მოსახლეობასაც გრაფიკით მივაწოდოთ, პერიოდულად შეუწყდეს ცალკეულ სოფლებს და უბნებს? რა თქმა უნდა, ცუდი, ამიტომ სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

**გ. ხვადაგიანი,**

ქვედა ცაგერის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

## გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**კითხვა:** შეეხება თუ არა ახალი კანონი მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნულ პენსიებს და რა შემთხვევაში?

**პასუხი:** 1989 წლის 1 ოქტომბრიდან მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნულ ყველა სახის პენსიას გადიდება არ შეეხო. 1989 წლის 1 ოქტომბრიდან პენსიის მინიმალური ოდენობა 60 მანეთამდე გაუდიდდათ მხოლოდ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებულ სხვა დაავადებათა შედეგად დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლებსა და მეუღლეებს. მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით აქვე აღვნიშნავ, რომ ამავე მიზეზით დაღუპულ მეომართა შრომისუუნარო შვილებისათვის პენსიის გადიდება ახალი კანონით გათვალისწინებული არ არის.

**კითხვა: ჩაითვლება თუ არა ახალი კანონის შესაბამისად სახელმწიფო პენსიის დასანიშნავად საჭირო შრომის სტაჟში კოლმეურნეობაში ნამუშევარი წლები?**

**პასუხი:** 1989 წლის 1 ოქტომბრიდან კოლმეურნეობაში ნამუშევარი წლები ითვლება სახელმწიფო პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟში და კოლმეურნეობის წევრებსა და მათ ოჯახებს დაენიშნებათ და მიეცემათ პენსიები მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ სსრ კავშირის კანონით დადგენილი წესებითა და პირობებით.

**ნ. ცვარიანი,**

**რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე.**

### ეპისკოპოს ზოსიმეს ქადაგებანი

## ქრისტიანული დღესასწაულები

## ნათლისღება

**(19 იანვარი, 6 იანვარი)**

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო და დანო! დიდი დრო არც არის გასული მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიზეიმეთ ქრისტეს შობის დიდებული დღესასწაული. მაშინ ჩვენ თანაზიარნი გავხდით ზეცისა და ქვეყნის დიდი სიხარულის: ურიცხვ ანგელოზებთან ერთად ვიგალობეთ მშვიდობისა და სიყვარულის საგალობელი „დიდება მაღალიანი“, რითაც ვადიდეთ მაღალი ღმერთი და მის მიერ შექმნილი სამყარო ადამიანითურთ. ებრაელ მწყემსებთან ერთად ჩვენც შევედით ბეთლემის ბაგაში და პატარა იესოს მოწიწებით ვეცით თაყვანი. რა უცხო, ჯერ განუცდელი სიხარული დამკვიდრდა მაშინ თითოეულ ჩვენთაგანში, როგორი დიდი ბედნიერების ღირსნი გავხდით უფლის წყალობით... ეს სიხარული ჯერაც არ განელებულა ჩვენში და აი, უკვე ახალი საკვირველების მოწმენი ვხდებით.

დღეს, იესო ქრისტე 30 წლის ასაკში, მიდის წმიდა იოანე ნათლისმცემელთან, რათა მიიღოს მისგან ნათელი. საკვირველია, ძმანო და დანო, როგორ შეიძლებოდა ღმერთის განათვლა ადამიანის მიერ? წმიდა იოანე ნათლისმცემელი ხომ ჩვეულებრივი ადამიანი იყო და გამოირჩეოდა მარტო მკაცრი, განდეგილური ცხოვრებით. მაცხოვრის ხალხში გამოჩენამდე 6 თვით ადრე იწყო მან ხალხის მონათვლა მდინარე იორდანეში. მაინც რა იყო ეს ნათლობა, ასე დიდი მონდომებით რომ ასრულებდა ნათლისმცემელი? ეს იყო ნათლობა სინანულის, ეს იყო ადამიანისათვის განწმედის წესი. ღვთის განგებით წმიდა იოანე ნათლისმცემელს ხალხი უნდა მოემზადებინა მაცხოვართან შეხვედრისათვის. ღმერთთან ვერ წარდგებოდა კაცი ცოდვილი და სულიერად ჭუჭყიანი. სიწმიდეს ვერ მიეახლებოდა უწმიდური, ჭეშმარიტ სიკეთეს, რომელიც უნდა ექადაგნა უფალს, ვერ გაიგებდა კაცი ცოდვით დამძიმებული, საჭირო იყო განწმედა მისი, რაც უნდა მომხდარიყო სინანულით, ანუ ცოდვათა დატევებით. ამიტომაც იწყო თავისი ქვეყნიური მოღვაწეობა წმიდაიოანე ნათლისმცემელმა სინანულზე ქადაგებით: „შეინანეთ, შეინანეთ, მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა“ (მთ 3, 2) (მათეს სახარება-რედ) —გაისმოდა ყველგან სიტყვები მისი. ხალხზე დიდად იმოქმედა ამან, რადგან დიდ

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# ნათლისღება

(დასასრული).

წინასწარმეტყველად მიაჩნდათ ნათლისმცემელი, და ამიტომ მრავლად იწყეს მასთან მოსვლა, რათა ეღიარებინათ ცოდვები და შეესრულებინათ იოანესაგან წყლით განწმენდის წესი. ცოდვების აღიარების შემდგომ წმიდა იოანე მასთან მისულთ აყენებდა მდინარე იორდანეში და ბანდა წყლით. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მათ შეინანეს და განიბანეს ქვეყნიური ჭუჭყი. მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი ამის შემდეგ იყვნენ ცოდვისაგან თავისუფალნი, უცოდველნი. იორდანეს წყალს შეეძლო განებანა მხოლოდ გარეგანი ადამიანური ჭუჭყი შინაგანის განსაწმედად ის უძლური იყო. იორდანეს წყალს არ შეეძლო განეწმიდა ადამიანის სული, რადგან თვითონ იყო განსაწმედი. სულის გაწმედა შესაძლებელი იყო მხოლოდ წმინდა სულით. წმიდა იოანე ნათლისას აკი ეუბნებოდა ხალხს, რომ: „მე უკვე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს უძლიერეს ჩემსა არს, რომელსა ვერ შემძლებელ ვარ ხამლთა მისთა ტვირთვად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა“ (მთ. 3. 11).

და აი, დადგა ის კურთხეული დღე, როცა მდინარე იორდანეს ნაპირას გამოჩნდა იესო ქრისტე. რათა იოანესაგან მიეღო ნათელი, ხალხმა არაფერი იცოდა ქრისტეზე. ის მათთვის იყო ჩვეულებრივი კაცი. იოანე კი სული წმიდის ჩაგონებით მაშინვე მიხვდა, რომ მის წინ იდგა განხორციელებული ღმერთი. შეკრთა, ძრწოლა დაეუფლა დიდი. „ეს არის ის, ვისთვისაც იყო ყოველი წინასწარმეტყველება დაწერილი. ეს არის ის, ვისაც უნდა მოეტანა ადამიანისათვის ცხოვრება დაუსრულებელი“. თავად სიწმიდე იდგა მის წინ. „თუ ასეა წმიდას რად უნდა განწმედა წყლით?—ამას ფიქრობდა გულში ნათლისმცემელი და ისდა მოახერხა, ძრწოლით წარმოეთქვა შემდეგი სიტყვები: „მე მეკუთვნის შენ მიერ ნათლისღება და შენ ჩემდა მოხუალა? (მთ. 3, 14) ხალხი დიდად იყო გაკვირვებული, ვერაფრით აეხსნა ნათლისმცემლის ძრწოლის მიზეზი. ბოლოს იესომ შეახსენა იოანეს, რომ მან უნდა შეასრულოს ყოველივე, რაც ღვთისაგან აქვს დავალებული. წმიდა იოანე ნათლისმცემელს არ შეეძლო წარმოდგენა იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა მას, უბრალო კაცს ღმერთკაცზე შეესრულებინა წყლით განწმედის წესი? ვერ ხვდებოდა ნათლისმცემელი იმასაც, თუ როგორ შეიძლებოდა მდინარეში განსაწმედად ჩამდგარიყო ის, ვისგანაც მოელოდა განწმედას ასობით, ათასობით ადამიანი? მაგრამ ახლა განსჯის დრო აღარ იყო. მას უნდა გაეკეთებინა ის, რასაც მოითხოვდა მის წინაშე მდგომი მაცხოვარი. როგორც კი ქრისტე შევიდა წყალში, მოხდა საკვირველება დიდი—მდინარე თითქოს ვეღარ ეტეოდა თავის კალაპოტში და დაეუფლა ღელვა საკვირველი: აქედან ხელაპყრობილი ნათლისმცემელი, იქით შეშფოთებული ხალხი, რომლებიც ჯერაც ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა ხდებოდა მათ თვალწინ, და ბოლოს შემაძრწუნებელი ხმა მამა ღმერთისა ზეციდან, რომელმაც დაამოწმა, რომ იორდანეში ინათლებოდა თვით ღმერთი, ამ დროს სული წმიდა გარდმოვიდა ზეცით და დაადგა იესო ქრისტეს მტრედის სახით. ახლა კი განცხადდა ღვთაებრიობა ნათელღებული იესო ქრისტესი.

ასე რომ საყვარელნო, დღეს იესო ქრისტემ იორდანეში იღო ნათელი და ამ ნათელმა განწმინდა და განანათლა წყალნი ქვეყნისანი, დღეს უბრალო წყალმა სული წმიდის მადლით მიიღო ბუნება სიწმიდისა და მარადიულობისა.

თავის დროზე საკვირველი ნათლისღება იესო ქრისტესი საჭირო იყო ადამიანთა განწმედისა და რწმენაში განმტკიცებისათვის. დღესაც იგივე მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვის. დღეს ქრისტეს მიერ ისევე ეკურთხება წყალი მორწმუნეთათვის, დღეს კვლავ ხდება ჩვენს თვალწინ დიდი სასწაული. უბრალო წყალი გახდება წყალი განსაკუთრებული, რომელსაც ვერას დააკლებს დრო და ჟამი. ჩვეულებრივი წყალი ძნელად ინახება რამოდენიმე დღითაც კი, ნაკურთხი წყალი კი შეიძლება შევინახოთ წლობით და ისეთივე წმიდა და კამკამა იქნება, როგორიც იყო კურთხევის წინ. ეს არის ღვთის დიდი წყალობა, რაც უტყვი ნიშანია იმისა, რომ უფალი დღესაც ზრუნავს ჩვენთვის, ჩვენი განკურნებისა და გადარჩენისათვის.

მაგრამ, საყვარელნო, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უფლის ნათლისღებას წინ უძღოდა ნათლისღება სინანულის. წმიდა იოანე ნათლისმცემელთან მისულნი აღიარებდნენ ცოდვებს და შემდეგ ინათლებოდნენ. ეს ნიშანია იმისა, რომ ჩვენს ნათლისღებასაც წინ უნდა წარვუმძღვაროთ განწმედა ჩვენი, წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიც არ უნდა მიიღოს კაცმა განწმედილი და ნაკურთხი წყალი, არას არგებს იგი. თუ არ არის წმიდა წყლის მისაღებად მომზადებული კაცი, თუ არ სწამს მას, რომ იესო ქრისტე არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია განწმიდოს მისი სული და სხეული, მაშინ ვერც ქრისტეს მიერ განწმედილი წყალი იქნება მისთვის სიკეთის მომტანი. ამიტომაა საჭირო მისი მიღება რწმენითა და სინანულით.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ქართველნო, დღეს ჩვენ დიდ წყალობას გვიმზადებს უფალი. ნაკურთხმა წყალმა უნდა განაახლოს ჩვენი დამძიმებული სული და სხეული, მან უნდა შემოიტანოს თითოეულ ჩვენგანში სული წმიდის მადლი და მასთან ერთად სიხარული. გისურვებთ საკურნებლად გექცეთ იგი. იმან გაანათლოს ჩვენი სულები, ოჯახები, ეკლესია და ერი.

ღმერთმა მრავალ წყალკურთხევას, მრავალ ნათლისღებას დაგასწროთ ყველანი.

ამინ!

**მამა ილია (ხეცურიანი)**

**ლენტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი**

**ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდელმსახური.**

# გრიპს ნუ ვეხუმრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიპი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს დაჭერას, ხელის წავლებას. მას ახასიათებს სწრაფი გავრცელება. რამდენიმე დღის განმავლობაში შეიძლება დაავადოს ასეულობით ადამიანი.

მიმდინარე სეზონში გრიპის ეპიდემია დაიწყო ინგლისში და უკვე დაავადდა რამდენიმე მილიონი ადამიანი, ეპიდემია გავრცელდა საბჭოთა კავშირშიც. მოსკოვში ყოველდღიურად 30 ათასზე მეტი კაცი ავადდება. მართალია, ჩვენს რესპუბლიკასა და რაიონში ეპიდემია ჯერ გავრცელებული არ არის, მაგრამ მისი საშიშროება არსებობს. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ მოსახლეობა წინასწარ იყოს ინფორმირებული მოსალოდნელი დაავადების შესახებ.

ამჟამად გრიპის ეპიდემია გამოწვეულია ჩვეულებრივი „ა“ ფორმით, რომელიც ცირკულირებდა ქვეყანაში გასულ წლებშიც. დაავადებისადმი მიდრეკილებას იჩენენ განსაკუთრებით 14 წლამდე ბავშვები და მოხუცები.

დაავადების ძირითადი სიმპტომებია: საერთო სისუსტე, ოფლიანობა, სახსრებში ტეხვა, ძლიერი თავის ტკივილი, შეიძლება იყოს სისხლდენა ცხვირიდან, სისხლის ჩაქცევა შინაგან ორგანოებში, საერთო ცხელება, მაღალი ტემპერატურა, ზოგჯერ შეიძლება მიდიოდეს უსიცხოდაც.

როგორც ვიცით, უშუალოდ გრიპის გამომწვევზე ანტიბიოტიკი არ მოქმედებს, ხოლო სიმპტომური სამკურნალო საშუალებებით მომარაგებაშიც ზოგჯერ შეფერხებებია. მთელი ყურადღება გრიპთან ბრძოლის დროს ეთმობა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. საჭიროა, მაქსიმალურად დავიცვათ პირადი ჰიგიენის წესები, ვერიდოთ ავადმყოფებთან კონტაქტს, ბავშვები მოვარიდოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, ხოლო დაავადების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს.

**ნ. ფუტკარაძე,**

**რაისაავადმყოფის ექიმი-ინფექციონისტი.**

## ჩვენს რესპუბლიკაში

# სასმელი »დიდუბე«

ახალი მატონიზირებელი მაღალკონცენტრირებული სასმელი „დიდუბე“ დაამზადა საწარმოო გაერთიანება „თბილხილწყლების“ კოლექტივმა, ამ სიახლის მთავარი ღირსებაა ის, რომ იგი დიდხანს—ორ თვეს ინახება. უახლოეს ხანს ამ პროდუქციის გამოცდილ პარტიას მიიღებენ რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლები. გაერთიანების ნომენკლატურაშია პროდუქციის 22 დასახელება. მარტო თბილისში ყოველდღიურად შემოდის ამ სასმელის ხუთი დასახელების 180-200 ათასი ბოთლი.

**რედაქტორის მოადგილე**

**მ. ძნელაძე.**





**ციცინო ბეგლარის ასულ ნემსწვერიძეს სოზარ ვლადიმერის ძე იმნაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ნუ მოგკლებოდეთ სიხარული, სიყვარული. დაე, თქვენს მიერ შექმნილი ოჯახი ყოფილიყოს ფუძძლიერი, შვილმრავალი, ერისა და მამულის საიმედო.

**ვალენტინა კოპალიანი, ხათუნა ბენდელიანი, ლუბა ფუტკარაძე.**


---

მურთაზ ბერიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**არჩილ ბიქტორის ძე ომანაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გიორგი, ზაურ ბენიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ დოდო და ვენედი ბენიძეებს დედისა და სიდედრის

**ვერა ფურცელაძე-კვირიკაძის**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა 21 იანვარს, კვირას მაიაკოვსკში. გამოსვენება სვერდლოვის ქ. №28.

---

გენური ქარსელაძე, ზაურ ომანაძე, რომან ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ ომანაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

კოლია, ლალაკო, ჰოჩია მინდაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ ომანაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა კესა, მეუღლე ნორა, შვილები ენვერი, გურამი, და ოლია, ძმა ზურაბი, ძმისშვილები ციური, პალუშა, გოჩა, დისშვილები გულნარა, ზაურ კოპალიანები ოჯახებით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიშა ივანეს ძე თვარაძე.**

დაკრძალვა 20 იანვარს, შაბათს, ოზურგეთის რაიონის სოფ. მთისპირში.

---

ცაგერის დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჯემალ ომანაძეს ძმის

**არჩილ ომანაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია და ზაურ ახვლედიანებს სიძისა და ქვისლის

**არჩილ ომანაძის**

გარდაცვალების გამო.

---

აბესალომ ტვილდიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**არჩილ ომანაძე.**

---

მეუღლე სერგო, შვილები ანზორი, ლილი, ნუნუ, დები ზინა, ოლია, ძმა გრიშა, მული ელისაბედ გოლოძე, რძლები ლუიზა, ფრუიძე, მაია ლობჟანიძე, ირინე ჩიკვილაძე, ვერიკო, მადლენა ჰოხონელიძეები, სიძეები ნოდარ ბოჟაძე, ოთარ იარალოვი, მილერი, რამაზ, სოსო, შვილიშვილები ზურიკო, ალეკო, ნუგზარი, ნანი, ლელა, ბელა, ნორიკო, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა ივანეს ასული ჰოხონელიძე-მესხაძე**

დაკრძალვა შაბათს, 20 იანვარს, სოფ. ლაილაშში.

---

ორბელის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იამზე ახვლედიანს დედის

**ლილი გიორგობიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ კობერიძე, ჯონი ხვადაგიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ ომანაძე.**

ჩვენი მისამართი: 384106 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-3., განყოფილებებ.ს: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 1 ინდექსი 66539, ტირაჟი 4441

საქართველოს სსრ ბეჭვდითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.